საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გულეიკარი

გულეიკარი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის კეთილარის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშ-გურიის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 16 მ, აბაშიდან 11 კმ, ჯაპანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 კმ. 408 მცხ. (2002).

სოფელს თავდაპირველად გულევლი ერქვა, გულევლის წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ გულევლისკარი უწოდეს. გ. წყაროებში პირველად 1628 მოიხსენიება. ეკლესია აგებული უნდა იყოს ძვ. ეკლესიის ადგილზე.

თ. ბერაძე